დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 13

ქ. დმანისი 27 სექტემბერი 2019 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მერაბი ოქრიაშვილი

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდა:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი , დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ციხელაშვილი
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 20

დღის წესრიგი:

| | |
|---|---|
| 1 | **დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| | **მომხსენებელი:** თ. ტატულაშვილი |
| 2 | *დადგენილება:* *დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების ფორმის და შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ* |
| | **მომხსენებელი:** კ. პეტრიაშვილი |
| 3 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №50 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ |
| | **მომხსენებელი:** ლ. მანთაშაშვილი |
| 4 | **განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N53 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| | **მომხსენებელი:** მ. აბრამიშვილი |
| 5 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლისათვის '' უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ |
| | **მომხსენებელი:** ს. ასლამაზაშვილი |
| 6 | **განკარგულება:** 2020-2022 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების სამოქმედო გეგმის მოწონების თაობაზე |
| | **მომხსენებელი:** ლ. მანთაშაშვილი |

1.მომახსენებელი : **თემურ ტატულაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე , აღნიშნულ ცვლილებებს წარმოადგენს შემდეგი:

2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ: სხვა შემოსავლების კოდით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 2030,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2120,0 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული სხვაობა შეადგენს 90,0 ათას ალრს რომელიც გადახდილი იქნე "RMG GOLD"-ის მიერ დაფიქისრდა შემოსავლები ჭარბი ოდენობით და სხვა შემოსავლების ჯამი 2645,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 2735,0 ათასი ლარით რომლის ზრდაც მიმართული იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა შეტანილი იქნა ცვლილებები ინფრასტრუქტურულ პროექტებში კერძოდ :

- მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდით 0304 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების არაფინანსური აქტივები"-ს ზრდის მუხლი 1420,2 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1280,2 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული სხვაობა 140,0 ათასი ლარი გადატანილი იქნას აღნიშნულ კოდში „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლში,
  მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 70,0 ათასი ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების თანხა 70,0 ათასი ლარი რითაც შესრულდება გზების მოხრეშვის სამუშაოები.
- მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდით 0301 „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რებილიტაცია" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2605,5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2228,6 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული სხვაობა 376,9 ათასი ლარი მიმართული იქნას:
- ბინათმშენებლობის (030202) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 115,4 ათასი ლარი და აღნიშნული კოდით გათვალისწინებული ასიგნებები 1102,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს1218,2 ათასი ლარის ოდენობით.
- გარე განათების (კოდი 030203) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 171,5 ათასი ლარი და აღნიშნული კოდით გათვალისწინებული ასიგნებები 571,1 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 742,6 ათასი ლარის ოდენობით.
- დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნებები ორგანიზაციული კოდით 0102-ის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 90,0 ათასი ლარი და აღნიშნული კოდით გათვალსიწინებული ასიგნებები 150,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 330,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 10,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 8,0 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული სხვაობა გადატანილი იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში.

ამრიგად დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 20180,3 ათასი ლარის ოდენობით.

**აზრი გამოთქვეს:**

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 20

წინაღმდეგი:

**2. მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილი** *საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი* დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების ფორმის და შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების ფორმისა და

[illegible] შესახებ დადგენილების პროექტის შესახებ მოგახსენებთ, რომ

ირკვევა , რომ „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების აქტის და შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 მაისის N26 დადგენილება არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ექვემდებარება კანონის შესაბამისობაში მოყვანას. აქედან გამომდინარე საჭიროა ახალი დადგენილების მიღება შემდეგი სახით:

დანართი №1

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური**

**მითითება №______**

___________________________
_________/__________/_________წ.
(შედგენის ადგილი) (შედგენის თარიღი)

დამრღვევის დასახელება: _________________________________________________________________________________________________
(სახელი, გვარი, პირადი ნომერი/ორგანიზაციის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

სამშენებლო ობიექტი: _________________________________________________________________________________________________

_________________________________________________________________________________________________
(დანიშნულება, მისამართი,საკადასტრო კოდი,მესაკუთრე)

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 123-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოვლინდა სამართალდარღვევის შემდეგი ფაქტი:

_________________________________________________________________________________________________

_________________________________________________________________________________________________

_________________________________________________________________________________________________

საქართველოს კანონის „სივრცის დაგაეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 124-ე მუხლის საფუძველზე გაიცა მითითება:
ა) სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ;
ბ) დარღვევის გამოსწორების შესახებ;
გ)სამშენებლო ობიექტზე არსებული სამშენებლო მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციის გამოყენების აკრძალვის შესახებ;
დ) მშენებლობის ორგანიზების პროექტით დადგენილი წესების დარღვევის გამოსწორების შესახებ.
დარღვევის გამოსწორების ვადა _______________________________________ (_________________) დღე.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _______________________________________________________

დამრღვევი: ___________________________________________________

_________________________

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

შენიშვნა:

______________________________________________________________________________________________

______________________________________________________________________________________________

______________________________________________________________________________________________

დანართი №2

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური**

**შემოწმების აქტი №______**

_________________________

________/_________/________წ.

(შედგენის ადგილი) (შედგენის თარიღი)

დამრღვევის დასახელება:

______________________________________________________________________________________________

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი/ორგანიზაციის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

სამშენებლო ობიექტი:

______________________________________________________________________________________________

______________________________________________________________________________________________

(დანიშნულება, მისამართი, საკადასტრო კოდი, მესაკუთრე)

დამრღვევს მიეცა №_____ მითითება მასზე, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 123-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოვლინდა სამართალდარღვევის შემდეგი ფაქტი:

______________________________________________________________________________________________

______________________________________________________________________________________________

______________________________________________________________________________________________

1. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 124-ე მუხლის საფუძველზე გაიცა მითითება:

ა) სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ;

ბ) დარღვევის გამოსწორების შესახებ;

გ) სამშენებლო ობიექტზე არსებული სამშენებლო მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციის გამოყენების აკრძალვის შესახებ;

დ) მშენებლობის ორგანიზების პროექტით დადგენილი წესების დარღვევის გამოსწორების შესახებ.

2. აქტის შედგენის ეტაპისათვის მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა აჩვენებს, რომ დამრღვევის მიერ №_________ მითითება:

ა) მითითება შესრულდა და დარღვევები გამოსწორებულია;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად შესრულდა.

3. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) ამ კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას (მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა);

ბ) დარღვევის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) შესაბამის ორგანოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი

ზომების მიღებას;

ზ) ამ კოდექსის 138-ე მუხლის (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში.

დარღვეულია:

_______________________________________________________________________________

_____

______________________________________________________________________________

(გამოვლენილი დარღვევა)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: ______________________________ ______________________

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი: _________________________ ______________________

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

დამრღვევი: ___________________________________________ ______________________

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

შენიშვნა:

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 20

წინაღმდეგი: 0

3. მომხსენებელი: **ლევან მანთაშაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №50 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტებში შესატანია შემდეგი ცვლილება: ვინაიდან ქ.დმანისის ქუჩების მოასფალტება, სოფ.დიდ.დმანისში და სოფ.ვარდისუბანში რკინაბეტონის არხების მოწყობის სამუშაოების ტენდერი ჩაიშალა. აღნიშნული სამუშაოებიდან გამიჯვნა მოხდა სოფ ვარდისუბან-დიდი დმანისის და ქ. დმანისის ხერგიანის და ცურტაველის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 240000 ლარს.

პუნქტ 1- დან 90000 ლარის გადატანა მოხდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ავტოპარკის განახლებისთვის.

პუნქტ 4-ს დაემატა 115408 ლარი პუნქტ -1დან ქ. დმანისში ნანა დედოფლის ქ N2-ის მრავალბინიანი კორპუსის სახურავის და ზემო კარაბულახში ადმინისტრაციული ერთეულის შენობის სახურავის სარეაბილიტაციოდ. აღნიშნული პუნქტის ღირებულებამ შეადგინა 500203 ლარი.

პუნქტ-9 ს დაემატა 171535 ლარი პუნქტ 2-დან ქ. დმანისში და სოფლებში გარე განათების მოსაწყობად (ჩემი ხატია სამშობლო, დიდი დმანისი, კამარლო, ამამლო და ჯავახი). აღნიშნული პუნქტის ღირებულებამ შეადგინა 509535 ლარი.

**აზრი გამოთქვეს: 0**

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 20

წინააღმდეგი:

**4. მომხსენებელი: მურაზი აბრამიშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N53 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილება და კერძოდ, დანართ N 3-ში ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ განიზაღვროს შემდგენაირად:

,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“.

მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობისათვის სასწრაფო, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული, ამბულატორიული, სამედიცინო მომსახურება, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის
კურსები.“ მე-4 მუხლს დაემატოს თ) ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,თ) 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის
კურსები; მე - 4 მუხლის მე - 3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. სტაციონარულ, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის მკურნალობის დაფინანსება ხორციელდება სრულად არა უმეტეს 1000 (ათასი) ლარისა;

პროგრამის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებთან ერთად უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ბენეფიციარების დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

**აზრი გამოთქვეს:**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 20

წინააღმდეგი:

**5. მომხსენებელი: სოფიო ასლამაზაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლისათვის " უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ააიპ ,,ომარ მუმლაძის სახეობის დმანისის სპორტული სკოლისთვის“ უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გათბობის ქვაბი ,,ariston”-ი საბალანსო ღირებულებით 1295 (ერთიათასორასოთხმოცდათხუთმეტი)ლარი, ბოილერი ,,atlantic”-ი საბალანსო ღირებულებით 1500 (ერთიათასხუთასი) ლარი დაპერსონალური კომპიუტერის მონიტორი (LG ფირმის, საინ.ნომერი მ-21220122)საბალანსო ღირებულებით 315 (სამასთხითმეტი) ლარი, გადავცეთ უსასყიდლოდ დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტულსკოლას“-ს.

**აზრი გამოთქვეს:** მერაბ ოქრიაშვილი დაინტერესდა გზების შესახებ მდგომარეობით. დაეკისრათ პირგასამტეხელები აღნიშნულ კომპანიებს, ვინც დროულად ვერ ასრულებს სამუშაოებს.

[illegible] სტადიონების და [illegible] სამუშაოებით. (აქტიურად

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 20

წინაღმდეგი:

6. მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი 2020-2022 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების სამოქმედო გეგმის მოწონების თაობაზე

განხილული იქნა, დმანისის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებშიგანსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტები

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 20
წინაღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ ოქრიაშვილი

სხდომის მდივანი: ლ. გადრანი